



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ასლი: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილი (N8060/01 30.07.2021), რომელიც ეხება ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის სამუშაო ვერსიას და სკოპინგის განცხადებას.

წერილის დანართით წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთით შპს "ბაუ დიზაინი"-ს მიერ შემუშავებული "ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფცია" (II ქვე ეტაპი - სამუშაო ვერსია) და ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება - სკოპინგის ანგარიში (I ეტაპი). კონცეფციაში სავსებით სწორად არის დასმული ქალაქის განვითარების ხედვის მიზნები და ამოცანები. მოცემულია ქალაქის განახლებისა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო წინადადებები და კონკრეტული ტერიტორიების განვითარების ვერსიები. მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ქალაქის ცენტრის - ცენტრალური პარკი და სანატორიუმების ქსელი (21 სანატორიუმი და 9 აბაზანა) - აღდგენა-განვითარებას, რაც გადამწყვეტი ფაქტორია წყალტუბოს, როგორც ქალაქი-კურორტის მდგრადი განვითარებისთვის. სრულიად სამართლიანად მოცემულია რეკომენდაცია ქალაქის ისტორიული იერსახის მაქსიმალურად შენარჩუნების თაობაზე და თითოეული შენობა-ნაგებობისთვის დამუშავებულია დეტალური რეკომენდაციები მათზე განსახორციელებელი ქმედებების შესახებ, იქნება ეს რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია თუ ახალი მოცულობების გაჩენის შესაძლებლობა. მოცემულია ასევე საინტერესო მოსაზრებები წყალტუბოში არსებული ფასეულობების დაცვის პერსპექტივებზე.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ (პ. 5.10.9) და აღნიშნულია, რომ საკვლევ არეალში ხვდება 5 ეკლესია/სამლოცველო, რომელთაგანაც ორი არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. არ არის აღნიშნული, რომ 5 სანატორიუმს, 2 აბაზანას და წყალტუბოს რკინიგზის სადგურს ასევე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N02/41 19.05.2021). შესაბამისად არც მათზე სავარაუდო ზემოქმედების რისკებია შეფასებული, თუნდაც წინასწარულად. ასევე არაფერია ნათქვამი შემოთავაზებული ხედვების განხორციელების პროცესში სხვადასხვა სამშენებლო თუ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს უცნობი არქეოლოგიური ობიექტების სავარაუდო დაზიანების პრევენციის თაობაზე. აღნიშნული საკითხების შემდგომი შესწავლისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების საჭიროება, სხვა საბაზისო კვლევებთან ერთად, გათვალისწინებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში (პ. 10, პ. 11).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტზე მუშაობის პროცესში უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვლევები, რათა საბოლოო დოკუმენტში სათანადოდ იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის განხორციელების მთლიან არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენის, შესწავლისა და შედეგების აღწერა/შეფასების შესახებ.

